



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #13

აპრილი, 2012

გამოშვებაში წაიკითხავთ

1 სემინარი ელ-მმართველობის განვითარების საკითხებზე

2 ITIL™-ის ტრენინგი IT სერვისების მართვაში

2 ელექტრონული სასაქონლო ზედნადები

3 ჩეკების გათამაშება

3 „IMAGINE CUP“ კონკურსის გამარჯვებული გუნდები გამოვლინდნენ

ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტომ სემინარი გამართა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებით ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“ ელექტრონული მმართველობის საკითხებზე ერთდღიანი სემინარი გაიმართა. სემინარის მუშაობაში საქართველოსთან

ერთად მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდოვის წარმომადგენლებმა.

სემინარზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმ მიღწევებზე და სამომავლო გამოწვევებზე, რომელებიც საქართველოს აქვს ელექტრონული მმართველობის განვითარებასთან დაკავშირებით.

„მსგავსი სახის სემინარები საუკეთესო საშუალებაა, რომ ჩვენს უცხოეულ კოლეგებს გავაცნოთ საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების მხრივ არსებული სიტუაცია. ამ მხრივ წარსადგენი ნამდვილად ბევრია - დაწყებული მოქალის პირტალიდან, რომლის გაშვებაც უახლოეს მომავალში იგეგმება - დამთავრებული ელექტრონული ID ბარათებით, სხვადასხვა ელ-სერვისების ერთ სივრცეში ინტეგრაციისა და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებით. გარდა ამისა, სემინარი შესაძლებლობას გვაძლევს მოვისმინოთ აღმოსავლეთ ევროპელი კოლეგებისგან მათი მოსაზრებები და დავსახოთ ურთიერთთანამშრომლობის გადრმავეების პერსპექტივები.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.cra.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matse.gov.ge

საქართველოს საკანონმდებლო პალატი

www.eAuction.ge ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.rs.ge



www.tbilisi.gov.ge

ITIL™-ის ტრენინგი IT სერვისების მართვაში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში წამყვანი საბიუჯეტო ორგანიზაციების IT მენეჯერებისთვის ჩატარდა ITIL™-ის 3 დღიანი ტრენინგი IT სერვისების მართვაში.

ITIL წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში სერვისების რეალიზების საუკეთესო პრაქტიკის ერთობლიობას. ის მოიცავს ყველაზე გავრცელებულ მეთოდოლოგიას ელექტრონული სერვისების მომზადების, შემუშავების, ოპერაციულ გარემოში გაშვებისა და მუდმივი გაუმჯობესების სფეროში.

სახელმწიფო სექტორში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით თვალშისაცემია ელექტრონული სერვისების რაოდენობის გაზრდა. მოქალაქეებს და ბიზნესის სუბიექტებს საშუალება აქვთ სახლიდან გაუსვლელად მიიღონ სხვადასხვა ტიპის მომსახურება. ამ სერვისების დახვეწისთვის, მათი ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და სერვისის განხორციელებაში შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება როგორც არსებულ მომსახურებებში, ისე სამომავლო სერვისების დაგეგმვისა და მომზადების დროს, შესაბამისად, ITIL-ის ტრენინგებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ელექტრონული სასაქონლო ზედნადების გამოყენება სავალდებულო გახდა

შემოსავლების სამსახურმა, ურთიერთობის გამარტივების მიზნით, სასაქონლო ზედნადების ელექტრონული ფორმით გამოწერის შესაძლებლობა დაწერა. სიახლის მიზანია, საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება.

ელექტრონული სასაქონლო ზედნადების გამოყენება 1 აპრილიდან სავალდებულო იქნება. აღნიშნული სიახლით, შესაძლებელი ხდება საქონლის მოძრაობის სრული სიზუსტით აღრიცხვა, მოწესრიგება და სრულყოფა.



ზედნადები ივსება ელექტრონულად, საქონლის მიწოდებისთანავე ან საქონლის გადაზიდვის დაწყებისთანავე. ელექტრონული ზედნადები სრულად ჩაანაცვლებს ზედნადებს, რომელიც ქალაქში იწერებოდა. ამასთან, არ იცვლება პასუხისმგებლობის ნორმები, ცვლილება შეეხება მხოლოდ შევსების ფორმას.

„ხშირად ხდებოდა ისე, რომ საქონლის გადაადგილებისას გამყიდველი და მყიდველი გარიგებულები იყვნენ და ფურცლის ზედნადები, რომელიც არ იყო მკაცრი აღრიცხვის ფორმა, ნადგურდებოდა და საქონელი რჩებოდა აღურცხავი. ბიზნესს ექმნებოდა პრობლემები. ამიტომ, აღრიცხვიანობის უფრო ზუსტი მეთოდის შემოღების საჭიროება გაჩნდა“, - განმარტა პრევენციის დეპარტამენტის უფროსმა **ზურაბ სოხაძემ**.

სასაქონლო ზედნადების ელექტრონულად გამოწერით მეწარმეები ადამიანური რესურსების და დროის დაზოგვას შეძლებენ. ამ სიახლით, გადამხდელს საშუალება ეძლევა, მოაწესრიგოს აღრიცხვიანობა, მინიმუმამდე შეამციროს შევსების დროს შეცდომების დაშვების რისკი და უზრუნველყოს ინფორმაციის დაცულობა.

შემოსავლების სამსახურმა „ჩეკების გათამაშება“ დაიწყო



შემოსავლების სამსახურმა უპრეცედენტო გათამაშება დაიწყო. 18 აპრილიდან მთელი საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერი (ნაღდი ფულით) შესყიდვის დროს მიღებული ჩეკით, წამახალისებელი გათამაშების მონაწილე გახდებით. გათამაშდება 10, 20, 50, 100, 10 000 და 50 000 ლარიანი მოგებები. გათამაშება ტარდება ყოველდღე.

„ჩეკების გათამაშებაში“ ჩართვა მარტივია - ამისათვის, საჭიროა ნებისმიერი შესყიდვის დროს მოითხოვოთ ჩეკი, ხოლო შემდეგ

მარტივად გადაამოწმოთ, გახდით თუ არა იღბლიანი ქვიტორის მფლობელი. აღსანიშნავია, რომ გათამაშების მონაწილე, არათუ უსასყიდლოდ ერთვება წამახალისებელ ლატარიაში, მას ასევე, უსასყიდლოდ, შეუძლია შეამოწმოს ჩეკის მომგებიანობა.

შემოსავლების სამსახურმა, მომხმარებელს მეტი კომფორტისთვის შეიმუშავა ჩეკების მომგებიანობის შემოწმების სამი მეთოდი: გათამაშების მონაწილეს შეუძლია ისარგებლოს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე, www.rs.ge - ზე, მოცემული სპეციალური ფორმით, მობილური ოპერატორებიდან (ჯეოსელი, მაგთი) *200# - ის აკრეფით და მოცემულ ველებში შესაბამისი კოდების შეყვანით და ასევე, ჩეკის მომგებიანობა შესაძლებელია შემოწმდეს სწრაფი გადახდის აპარატებით (TBC Pay და NOVA).

მომგებიანობის გადასამოწმებლად, საჭიროა, ჩეკის ორი უნიკალური (ექვსნიშნა და რვანიშნა) კოდის შეყვანა, ვებგვერდსა და სწრაფი გადახდის აპარატებში, სპეციალურად შექმნილ გრაფებში, ან ნებისმიერი ნაღდი ფულით შესყიდვის შემდეგ მაგთის და ჯეოსელის აბონენტებს უფასოდ შეუძლიათ დარეკონ *200# - ზე და შეიყვანონ შესაბამისი კოდები. ორივე კოდი ერთად 14 ციფრისგან შედგება.

მოგებული თანხის მიღება შესაძლებელია ლიბერთი ბანკის, კორსტანდარტ ბანკის, პრივატ ბანკის, ან ბაზის ბანკის ნებისმიერ ფილიალში, მოგებიდან 30 დღის განმავლობაში.

„IMAGINE CUP“-ის გამარჯვებული გუნდები გამოვლინდნენ



განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშინმა კონკურსის „Imagine Cup“ საქართველოში გამარჯვებული გუნდები დააჯილდოვა. პირველ ადგილზე გასული გუნდი 6-10 ივლისს ავსტრალიაში „Imagine Cup“-ის მსოფლიო ფინალზე მონაწილეობის მისაღებად გამგზავრება, სადაც წარმატების შემთხვევაში, 25 000 დოლარს პრიზის სახით მიიღებს.

კონკურსის თემა იყო სამყარო, სადაც ტექნოლოგია ჩართულია მსოფლიოს აქტუალური პრობლემების მოგვარების

პროცესში. გამარჯვებული გუნდის „Greenbytes“-ის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქალაქის დასუფთავების პროცესის გაუმჯობესებას ეხებოდა.

კონკურსის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა და მისი ორგანიზატორები „მაიქროსოფტ საქართველო“ და სამინისტროს „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“ არიან. მხარდამჭერები არიან USAID-ის პროექტი ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, რომელიც გამარჯვებული გუნდის ავსტრალიაში გამგზავრებას უზრუნველყოფს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „სინგულარ ჯგუფი“ და „ალგორითმი“.

კონკურსის ჯიურის შემადგენლობაში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პროგრამული უზრუნველყოფის მენეჯერი დავით ფრუიძე.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 50
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საპარტეზო იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.